

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ადმასრულებელი საბჭოს
სხდომა**

27 დეკემბერი 2007 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, არაყიშვილისი I ჩიხი №9

სხდომის დაწყების დრო: 19:30სთ.

სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები:

კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), ზურაბ ტაბიძე, დავით ასათიანი, ზაზა ხატიაშვილი. როინ მიგრიაული

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. საწევრო გადასახადზე შეღავათის წესის განსაზღვრის შესახებ;
2. ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიშის გაცნობა;
3. წევრთა მიერ სოციალური დახმარებისა და შეღავათების მოთხოვნით შემოტანილი განცხადებების განხილვა;
4. სხვა მიმდინარე საკითხები.

ადმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარემ და წევრებმა იმსჯელეს საწევრო შენატანის გადახდის წესისა და ოდენობის შეცვლაზე, რაც გულისხმობს საწევრო შენატანის გათანაბრებას რეგიონებსა და თბილისს შორის.

საბჭოს წევრებმა მოისმინეს ასოციაციის თავმჯდომარის ორწლიანი ანგარიში, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ორგანიზაციის დაფუძნების დღიდან გაწეული სამუშაოს შესახებ. ანგარიში შეფასდა დადებითად განხილულ იქნა ასოციაციის წევრთა განცხადებები, სხვადასხვა შეღავათების მოთხოვნის თაობაზე. 17 განცხადებიდან საბჭო დაინტერესდა იმ სამი განცხადებით, რომელთაც თან დართული ქონდა განცხადებაში ასახული ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დღის წესრიგის მე-4 პუნქტად მოხდა ორი საკითხის განხილვა, კერძოდ, იმ პირთა უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი, რომელთაც არ გადაუხდიათ

2006 წლის საწევრო შენატანი და ასევე, ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრის გიორგი ტურაზაშვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით აღმასრულებელი საბჭოს წევრმა, ბატონმა ზურაბ ტაბიძემ გამოთქვა მოსაზრება: მისი აზრით, „მითითებულ რეკომენდაციებს სასამართლოები აქტიურად იყენებენ, ზოგ შემთხვევაში კანონზე მაღლაც კი აყენებენ, რაც იწვევს ადვოკატის როლის დაკნინებას“.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა იმსჯელეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე.

გ ა დ ა წ ყ დ ა :

1. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე ნაწილის მე-5 შესაბამისად, დაევალოს აღმასრულებელი საბჭოს აპარატს მ. ნოზაძის განცხადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გაგზავნა;

2. იმ პირობა მიმართ, რომელთაც არ გადაუხდიათ 2006 წლის საწევრო შენატანი დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება და მოხდება ცნობის საჯარო გამოქვეყნება;

3. შეღავათების მოთხოვნით შემოტანილი განცხადებებიდან დაკმაყოფილდა შემდეგ წევრთა განცხადებები: რამაზ ხიზანიშვილი; კანდიდ ლობჯანიძე; კანდიდ ცეცხლაძე;

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა ითხოვეს დრო ეთიკის კომისიის წევრის, გიორგი ტურაზაშვილის განცხადებაში დასმული საკითხების გასაანალიზებლად.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ: კ. ასლანიშვილი (თავმჯდომარე), ზ. ტაბიძე, დ. ასათიანი, ზ. ხატიაშვილი. რ. მიგრიაული

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად, ღია კენჭისყრით.

კახაბერ ასლანიშვილი
თავმჯდომარე